ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4656966

ნომერი: AR1704634

თარიღი : 03.09.2019

გაცემის თარიღი : 05.09.2019

გაცნობის თარიღი : 06.09.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , IV მ/რ-ის მიმდებარედ , ნაკვეთი 14/429; ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , IV მ/რ-ის მიმდებარედ , ნაკვეთი 14/430; ქალაქი თბილისი , ქუჩა ვიქტორ კუპრაძის , კორპუსი N 10-11-12; ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , IV მ/რ-ის მიმდებარედ , ნაკვეთი 14/430;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ჩახნაშვილი პ/ნ 01018002526
- გოგოლაურის N17/18

ორგანიზაცია:

- სს Hualing international special economic zone კოდი: 404934381

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ:
..ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე,
სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, სამსახურს მსგავსი სახით სარეკლამო ბანერის მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია, კერძოდ საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრის მხატვრულ ვიზუალური ელფერის და გაბარიტული ზომების მეტად დახვეწილი, სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება

განახლებულ სტენდებთან დაკავშირებით ფოტომონტაჟებზე დააზუსტეთ ძირითადი კონსტრუქციის მასალა და სარეკლამო სტენდის სისქე ასევე დასადგამი ძირის კონსტრუქციის გაბარიტები.
ფოტომონტაჟზე თეთრი ფერით შესრულებული წარწერები არ იკითხება და წარმოადგინეთ მაღალი ხარისხის ფოტომონტაჟი ან დამატებით საპროექტო სარეკლამო სტენდის აქსონომეტრიული ნახაზი წარწერებით, ზომებით და მასალების მითითებით. სტენდის განთავსების ადგილიდან საკადასტრო გეგმაზე დააფიქსირეთ მანძილი საკადასტრო საზღვრებამდე და გზაჯვარედინამდე.
N2-სტენდთან დაკავშირებით წარმოდგენილი ფოტომონტაჟი წაშლილია და არ იკითხება წარმოადგინეთ განახლებული სახით.
N3 სდენთან დაკავშირებით უნდა შეიცვალოს მისი განთავსების არეალი, რადგან დაუშვებელია სტენდის გაზონზე - გამწვანებულ ტერიტორიაზე განთავსება.
ასევე N4 სტენდთან დაკავშირებითაც შერჩეულ ადგილზე გამწვანების ზოლში სტენდის განთავსება დაუშვებელია.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების, მუხლი 35, პუნქტი 5, ქვეპუნქტი 6–ის თანახმად საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში სარეკლამო, საინფორმციო ან/და მიწისზედა გადასასვლელი ნაგებობის განთავსება ქუჩის მიმდებარე გამწვანებულ ზოლზე, გაზონზე ან/და სხვა სახის გამწვანებულ ტერიტორიაზე დაუშვებელია,

5. საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში სარეკლამო, საინფორმციო ან/და მიწისზედა გადასასვლელი ნაგებობის განთავსება დასაშვებია, თუ განთავსების ადგილზე:
ა) ტროტუარის სიგანე არ არის 3 მეტრზე ნაკლები;
ბ) ტროტუარზე დარჩება ბუნებრივი (ხე-ნარგავები, გაზონი) ან/და ხელოვნური (განათების ბოძი, შენობაში შესასვლელი კიბე, მცირე არქიტექტურული ფორმები და სხვა) წინაღობისაგან თავისუფალი, გასავლელი სიგანით მინიმუმ 1,8 მეტრი;
6. მეხუთე პუნქტში მითითებული ობიექტების განთავსება დაუშვებელია:
ა) ქუჩის მიმდებარე გამწვანებულ ზოლზე, გაზონზე ან/და სხვა სახის გამწვანებულ ტერიტორიაზე.
ბ) სახანძრო ჰიდრანტის, საკანალიზაციო, სანიაღვრე ან/და მიწისქვეშა საინჟინრო ქსელების ჭების სიახლოვეს 3-მეტრიან რადიუსში;
გ) გზაჯვარედინამდე 10 მეტრში;
დ) შენობაში შესასვლელამდე 5 მეტრში.

გათვალისწინებული იქნას ზემოთ აღნიშნული ხარვეზები და წარმოდგენილი იქნას სათანადოდ შესწორებული სრულყოფილი დოკუმენტაცია.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.